

ფანი 10 კპ.

№ 7 (242)



წალიწალი მუხვილი
16 თებერვალი
1930 წ.

ათიანი
კორეატივიზა



„კაკალ გულში“



„წითელი“ კულაკი

— კარგი რამეა ეს კოლექტივიზაცია, მაგრამ ჩვენს სოფელში, ვეჭვობ, რომ გატარდეს,—სიტყვა სოფ. კვინწარის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კვინწარიძემ, რომელიც თავმჯდომარის მოვალეობასაც ასრულებდა, რადგან თავმჯდომარე კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების კურსებზე იყო მივლინებული ქალაქში.

— არა, შეიძლება სხვაგან გატარდეს, მაგრამ ამ ჩვენ სოფელს რალაც სპეციფიური, თავისებური პირობები ახასიათებს; ყველას შემოლობილი აქვს და კოლექტივის გულისთვის ღობეს ხომ ვერ გავარღვევთ..

სოფლის კომკავშირელები დიდ ფაციფუცში იყვნენ: ისინი, ლარბ-ლატაკებთან და საშუალო გლეხებთან ერთად, კრებას კრებაზე ატარებდნენ კოლექტივიზაციის შესახებ.

თავმჯდომარის მოადგილე კვინწარიძე იშვიათად გამოვიდოდა კრებაზე და თუ რამეს იტყოდა, ისიც „სპეციფიურ“ და „განსაკუთრებულ“ პირობების შესახებ.

— იცოცხლეთ თქვენც და მეც, ეს თავისებური პირობები რომ არ გვიშლიდეს, ჩვენ კოლექტივიზაციას გავატარებთ... მაგრამ რა გინდა ქნა, პირობები? ყველას მისთვის აქვს სახლ-კარი და ეზო-მიდამო, ეზოში ხომ არ შეეკრები მოსახლე კაცს და თითონ არ გადმოვთ, რომც გადმოვიდეს, ვის ეზოში უნდა შევიდეს, ყველას შელობილი აქვს...

ტყუოდა კვინწარიძე: შელობილობით კოლექტივიზაციას ხელი არ შეეშლება, ეს ყველამ იცის. მართალია, ღობე და ზღუდე აბრკოლებს მიწის განსაზოგადობას, მაგრამ არსებობს ერთი საუკეთესო საშუალება ამ დაბრკოლების მოსასპობათ: ეს არის ღობის აღება საცესებით. ასე იქცევიან ყველგან, სადაც კოლექტივიზაციას ატარებენ.

მაგრამ საჭმე იმაშია, რომ თვით კვინწარიძეს ეზო შემოლობილი ჭონდა ახლად ნაყიდი ეკლიანი მავთულით და ხომ ყველამ იცის, რომ ასეთი ზღუდის აღება ისეთ „კოლექტივისტსაც“ გაუჭირდა, როგორც არის სოფ. კვინწარის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პარტიკან-ლიდატი კვინწარიძე.

სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, რომ კვინწარაძე რალაც შემთხვევით გადაურჩა პარტწმენდას, როგორც კულაკების მფარველი.

რალაი კულაკებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ვთქვით ისიც, თუ როგორ უყურებს კვინწარიძე კულაკობას.

— სად? ჩვენს სოფელში კულაკი? აჰ! არ შეგქამოთ ჭირმა, აქ კულაკს რა უნდა: ხუთი-ექვსი ზელმომობარი გლეხია, მართალია, თითო-ორილა მოჯამაგირეებიც ყავთ, მაგრამ რა ქნან, საქონელი ყავთ, მიწები და ადგილ-მამული, მარტო ხომ ვერ მოუვლიან!.. არ ვიცი, ძალიან ვაკვირდებით, აგრამ კულაკობა ამ ჩვენს სოფელში არავისთვის შემინჩნევია..

რას შეამჩნევდა კვინწარიძე. სად ეცალა სხვისი ჭონების შესამჩნევად, როცა თავისას ვერ უთავდებოდა: ხარ-კამეზი, ძროხები, ცხენი, ცხვარი, ღორები და გაშენებული მიდამო, — ეს ყველაფერი თავმჯდომარის მოადგილის საკუთრებას შეადგენდა.

იმ სოფელში თვითკრიტიკა ცოტა ჩახშული იყო, თორემ, შეიძლებოდა კვინწარიძისთვის პირში თქმა, რომ იგი თვითონ არის მამალი კულაკი.

მაგრამ კრიტიკის ასე გაშლა არ იყო მოადგილის პოლიტიკა.

• ვინმე უნდა გავასახლო, თორემ შემარჯვენებობას

დამწამებენ, — სიტყვა მან ბოლოს და საერთო კრებაზე შეიტანა წინადადება სოფლიდან გაესახლებით ყოფილი მნათე, რომელმაც, ეკლესიის გაუქმების გამო, მართალია, თავი დაანება მნათეობას, მაგრამ ყოფილი მნათე ხომ მაინც იყო!

— აი, ამხანაგებო, ეს რელიგიის მსახური, ჩვენი ტყავის მძრობელი და სოფლის წურბელი... ეს გავასახლოთ და სოფელიც გაჯანსაღდება.—წარმოსიტყვა მან. მნათეს სული გასძვრა შიშით, მაგრამ...

— რას ერჩით მაგ ლატაკს როდის ქადაგობდა, ან როდის სწირავდა, შენ თითონ დიაკვნათ არ აუყვ მეორე მზრაში?—მოესმა კვინწარიძეს ხმა და ყველა აჩოჩქოლდა. კვინწარიძე გაფითრდა. იგი ამ სოფელში სხვა რაიონიდან იყო ჩამოსახლებული და მისი წარსულს მცოდნე არავინ ეგულებოდა.

თავმჯდომარის ჩამოსვლამ (ორიოდე დღას შემდეგ) დააჩქარა კვინწარიძის ბედის შებრუნება. იძიეს, იკვლიეს, ამოწმეს და გამოააშკარავეს, რომ კვინწარიძე მატმანებულია როგორც პარტიკანზე, ისე საბჭოზე; რომ კვინწარიძე გაწითელ-გაკულაკებულია მოადგილეობას დროს და მქიღრო კავშირი აქვს კულაკებთან.

ამას შემდეგ, რალა საკვირველია, რომ კვინწარიძე, ეს „წითელი“ კულაკი გაასახლეს სხენებული სოფლიდან, რომელიც უკვე გადაგადა მთლიან კოლექტივიზაციაზე.

ლახვარი.

სამართლიანი საყვედური

ცხენისაშენმა სახლვარგარეთიდან გამოიწერა ინგლისური ჯიშის ცხენები, რომლებიც ადვალობრივ პირობებთან შედარებით უვარგისებია. ცხენებს კვებავენ რძით, შაქრით და სხვა ფუფუნებითი საკვებით.



ცხენი (გლეხს):—შენ კი აქ თიფანს ვერ იმე ბავ და დილიდან საღამომდე მამუშავებ.

შემწვეულია, რომ ზოგ ერთ დაწესებულებაში განუწყვეტელი საწარმოო კვირაზე გადასვლის შემდეგ გაბიუროკრატული თანამშრომლები განგებ აქიანურებენ საქმეს.

— **განუწყვეტელი** საწარმოო კვირაზე გადასვლამ განახლება უხდა შემოკრატის ჩვენს დაწესებულებაში. ბიუროკრატის ნაშთები, თუ კი ასეთი კვლავ დარჩენილა ჩვენს დაწესებულებაში, სამდამოთ უნდა აღმოვჩვენოთ. სიზარმაცისა და სამუშაო საათების გაცდენას ბოლო უნდა მოვლათ. — ასე დაასრულა თავისი სიტყვა გამგებ მოსამსახურეთა კრებაზე.

— **გიორგი**, განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის გამო, დასასვენებელ დღეების ცხრილი გააკარი თვალსაჩინო ადგილას. — უთხრა გამგებ საქმეთა - მმართველს და ცხრილი გადასცა.

კვლეულზე გაკრულ ცხრილთან თანამშრომლებმა თავი მოიყარეს.

- მე კვირას მერჩია!
- მე სამშაბათს მინდოდა!
- მე ხუთშაბათს! — საყვედურობდენ თანამშრომლები.

გამორკვეა, რომ ყველას გემოვნების-და მიხედვით ცხრილი არ იყო შედგენილი. საჭირო შეიქნა ხელახალი ცხრილის შედგენა, რასაც გამგებ და საქმეთა - მმართველმა მთელი დღე მოანდომა.

ხიხილეს საერთო კრებაზე. ცხრილის საკითხმა მიიღო პერმანენტული ხასიათი. საწარმოებდა დღეების გათვალისწინებით - გადმოცვლა, ახალ-ახალი ცხრილის შედგენა. ცხრილთან კვლავ შეჯგუფება, შეხლა - შემოხლა და კამათი. ბოლოს ადგილკომის ჩარევის შემდეგ, როგორც იქნა,

— **ამხანაგო**, საქმეთა-მმართველი თქვენა ხართ? — შეეკითხა საქმეთა-მმართველს ჭალარა კაცი, რომელსაც ხელში რაღაც ქაღალდი ეჭირა.

— დიას, მე ვახლავარ! — უპასუხა საქმეთა-მმართველმა.

— ნახეთ ეს თხოვნა, და რაც შეიძლება მალე გამისტუმრეთ, ქარხანაში მიგვიანდება.

საქმეთა-მმართველმა თხოვნა გადაიკითხა და მთხოვნელს ზრდილობიანად უთხრა:

— ამხანაგო, დღეს ვამგეს დასასვენებელი დღე აქვს. თხოვნაზე საჭიროა მისი რეზოლიუცია. დავგიტოვებთ, მობრძანდით ხვალ და მზათ დაგახიერებთ.

ჭალარამ მადლობა გადაუხადა და წავიდა.

მმორკმ დღეს ჭალარა კაცი შევიდა ხსენებულ დაწესებულებაში და და საქმეთა-მმართველის მაგიდისთან გაეჩინა, მაგრამ საქმეთა-მმართველი...

აი მიწეზი



ველი იქ არ დახვდა. ბევრი ძიების შემდეგ, მას ვახუცხაძეს, რომ — საქმეთა - მმართველს დღეს დასასვენებელი დღე აქვს.

— ჩემი თხოვნა? — თქვენი თხოვნა მისი მაგიდის უჯრაში ჩაკეტილი და წვალაძღვარაფერი გაეწყობა.

მისამი, დღეს კვლავ გამოცხადდა ჭალარა კაცი ხსენებულ დაწესებულებაში და საქმეთა-მმართველს წინ აეტყუხა.

— ჰო, მართლა, გუშინ მე დასასვენების დღე მქონდა, ეხლავე, ეხლავე... ჟორა, გამგის რეზოლიუციის მიხედვით ამ კაცს ვაუკეთე მიმართვა და მიეცი! — და თხოვნა გადაეცა საქმის - მმართველს.

საქმის - მმართველმა თხოვნას ახელ-დახელა, გადააბრუნა, გადმოაბრუნა, და საქმე დროსა და ლოიონის გასვლის შემდეგ, გაუკეთა წარწერა, ადგა და თხოვნა მემანქანის მაგიდაზე დასდო; ჭალარა კაცს კი ასე უთხრა:

— შემოიარეთ, ამხანაგო, ხვალ და მიიღებთ.

— რაოი რატომ ხვალ? დღეს არ ვაკეთებდა თუ? — ვაცხარდა ჭალარა კაცი.


— დღეს არ ვაკეთებდა. მიმართვა დასაბეჭდი. მემანქანე ქალი დღეს აქ არ არის, დასასვენებელი დღე აქვს და ისვენებს.

მალარა კაცი დღესაც იქ იყო და ასეთი პასუხით გამოისტუმრეს:

— თქვენი ქაღალდი დაბეჭდილია, მაგრამ საჭიროა მისი რეგისტრაციაში გატარება, რეგისტრატორი კი დღეს ისვენებს, შემოიარეთ ხვალ.

ენახათ ხვალ ელირება თუ არა ჭალარა კაცი თავისი ქაღალდის მიღებას.

ტოქსინი.



— რა კარგია ჭიანური?! საქმის ვაკიანურებაც მითომ მიყვარს მე, რომ ჭიანურს მაგონებს!

„ხათრისთვის“

მე ვახლავართ კოოპერატივში ნოჭრად.

აფსუს ბიჭო ისინა, ცოდვა არაა შენ ნოჭრად იყო? პირველი გილდის კუპეტი ვიყავი.

ამას წინეთ რალაცა 100 წყვილი კალოში მომივიდა და ბედი ვიწყველე იმის განაწილებაზე, რა ვჭია, ხათრს ყველაფერი შეუძლია.

60 წყვილი მართლაც საპატივცემო პირებისათვის გადავდევი. ერთი კომპლექტი, ანუ 7 წყვილი კალოში, გადავდე გამგისათვის. სამი კომპლექტი, ანუ 23 წყვილი — გამგეობის წევრებისა და მათი ოჯახში მყოფთათვის (ხომ გავგონიათ: კარგი ქენი გზას დადევ, გაიარე წინ დაგზავდებო). 10 წყვილი — მემანქანე ქალებისათვის (აქ უკვე მთავარი როლი ესტეტიკაში ითამაშა. ისეთი ლამაზები არიან, ისეთი, რომ ჩამოდნები ადამიანი, როგორც ვაჭარი ოცხელი ჩამოდნა ქუთაისში). 4 წყვილი — კულტმუშაკისათვის. ერთი წყვილი ჩვენს მოლარე ლიზას. (ისე ნაბავეს თვალებს, როგორც ხეთის მშობელი მარიამი იოსებ ხუროსთან არსიყოების დროს).

ახლა, ხომ გავგონია: — ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო. მეც ასე მოვიქეცი: ჩემი თავისთვის — 2 წყვილი გადავდე; ცოლისა და შვილისათვის — ოთხი.

არც სახვითო წეროლის დოგმატი დამავეიწყდა: შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისიო. მეც მოყვრებზე — 10 წყვილი გადავდე.

ჰო, და ასე, ჩემო ძმაო. ხათრს ყველაფერი შეუძლია.

გათენდა დილა. იმისანა დილა გაუთენდა შენ მტერს. არის ოჩერედი და ჯიკა-ჯიკავი, მარა რას იტყვი. სინდის გეფიციები ქუთაისის საბჭოთა მერე აფთიაქი მომაგონდა.

გამახსენდა ჩემები. ვიფიქრე, მათთვის რომ კალოშები წინა დღით არ გადამედო. ხომ ასეთ ყოფაში იქნებოდენ — მეთქი, და ორი კაკლის ხელა ობოლი ცრემლები გადმოგორდენ ამ ქინძის-თავის ოდენა თვალეზიდან.

გავალე კარები, შეიქნა ყვირილი, კივილი, ჯღაღილი, ხრიალი, გრიალი, გინება.

გადაწყობილ 60 წყვილ კალოშს ქე სძინავს არხინად აგერ ყუთში.

ავილე ის 40 წყვილი კალოში და ვინც შეშვედა დაუროგე. სულ ოთხ-ოთხი მანეთი მომცეს. ხუროდის მისაცემათ ვის ეცალა, თვარა მაგას არ ვიკადრებდი, არ მოგიკედეს ბიქტორა გოცაძე.

— კონჩილა! — გამოვაქხადე. ხალხი უფრო ახმაურდა.

არ გასულა 10 წამი და ვილაცა დიდი კაცი მოდის და წინ კომსომოლა მოჰყიობა.

გაჩხრიკეს კოოპერატივი.

მონახეს გადანახული კალოშები. პატრონების სახელი და გვარი სათითაოდ შიგ იწყო.

მსკანჩეს და ამომაყოფიეს თავი ვირის აბანოში.

ესაა ადამიანობა?

მე კი მიგზიო—რატომ დამიჭირეს, მარა რას იზამ!

„შხილნისკი ბომბ“.

ორი გმირი

ბორჯომი

პირველია ილუშა აქ ყველასგან „ცნობილი“ გვარად წითელაშვილი, კაცი მართლა ცოდვილი. ობლიგაციების ფულს ღდინი გააცალაო, ჟურნალ-გაზეთებისაც მიაცალა თანაო. ქალთ ორგანიზაციას დაუყენა თვალაო, — იმათ ოცდა ხუთ თუმნით ბევრჯერ ღდინო დალია. კიდევ აღძრეს საკითხი იმის დაჭერაზედა, მაგრამ ვილაც მფარველობს და ხელს უსვამს თავზედა.

მეორე ხომ ლექსთა ლალაშვილი გვარადა, ილუშას რომ ამშვენებს, გახდომია „პარადა“. ქარხანაში გაფლანგა კარგა ბლომად ფულიო, (რა ქნას ქეიფი უყვარს ვაჟკა(კური, ძმურია) მანაც გაანაწილა ქალებისა ფარაო, თითქმის ათი თუმანი ჯიბეს ჩაიყარაო.

ბარაკო.რი.

ფოთელი პაჭკაბი

ღმთაი ბაჟმთაგინს კიოსკოთაჲ

პირველი ვაჭარი:

ხელ ტორგში მიყიდიან რაც გადამრჩა ყველაფერს და ეს მდგომარეობა სულ მიფუჭებს სისხლს და ფერს.

—:—
ოკინთე მანახა ნერავ ამ გუთებაზე, ვამღერებდი ვაჭრების და ჰემს გახუთებაზე.

—:—
გულო გამზიარული, ტირილით რა გამოვა, გავკოტრიდი და ეს არის, აწ უარესი რა მოვა.

მეორე ვაჭარი:

მეც, ერკუს, ირეკ, ჩორს, ვინ სთქვა რომ ეს ასე სჯობს.. დღეს ვაჭრების გაკოტრება არ შეადგენს ზღაპარს, ქორს...

—:—
კალისტრატე, მოდი ახლო, რად დამდხარხარ ასე შორს, სამძიმარი გულის კვნესით უნდა უთხრათ სწორმა სწორს.

—:—
ვაი ჩვენი ცოდვის ბრალი, წარმოვადგენთ ციკხალ მძორს ამისთანა სიციცხლე ყვავს ქონდეს და გინდა ქორს.

მესამე ვაჭარი:

მეც თქვენ დღეში ვარ, ძმებო, მეც ამიკოეს ნაბადი, რა უდროოა დროს დავეჩი ამ ქვეყნად დანაბადი?

—:—
გასული წლის ნალოგებს ათასობით გვათვლიან, გულის სევდა - ვარამი, ნეტავ თუ გადივლიან?..

მეოთხე ვაჭარი:

დაკვრით წესით მოგვდგენ და ავგა(კალის ქონია... მინდა სადმე გავიქციე, თუ მოვენახე ფონია.

—:—
ჩოთქი, მეტრი, დახლი; ფული.. მწარე მოსაგონია, ვაი, თავი ოხერო, რა დროება გქონია!


ყველანი ერთხმად:

ხარჯთ ამკრეფმა ინსპექტორმ წელს მართლა გავცაცულაო, ჩვენი სული წაილო ისე მაგრად გავგწურა.

—:—
ვაი ჩვენო დახლო და, ვაი ჩვენი დუქანო. კიბოსავით მივდივართ ეხლა უკან-უკანო.

ძველი ბელასიაი.

შობარი



„ცილის წამება“

ვენაში შესდგა პოლიციელთა ინტერნაციონალის აღმასკომის სესია, რომელზედაც შობარი ისევ აირჩიეს ინტერნაციონალის პრეზიდენტათ.

დებეშებიან.

შობარი (ავსტრიის პრემიერი, სოც.-დემოკრატი): — შინ სთქვამ, რომ ჩვენ, სოციალ-დემოკრატები ვინააღმადგი ვართ ინბანსაციონალის... კოლიციელთა ინბანსაციონალის.

„პინტილექტა“

ყველგან ამას გავიძახით — „პიატილექტა. პიატილექტა“-ო, — მაგრამ თუ გულწრფელად და რიგიანად ხარ მოვექეცით ი პიატილექტასა, ის გამოვა, რომა ზოგიერთები, აი, გაზღინძებულეები და თხლეშიაშვილები რომ არიან, ი პიატილექტასა დეცატიპიატილექტად გადაგვიქცევენ.

ამას წინადა ერთ დირექტორს შეეკითხნენ:
— რა ქენით თქვე ი ტრესტის ქარხნები ახალ მანქანებზედ გადაიყვანეთ თუ არაო?

აღარ იკითხავთ რა უპასუხა: ამის გავონებახედა ერთი ისე გაიზმორა, თითქოს ნამძინარევი კამეჩი იყოსო, მერე კი ისე გაიკიმა და გამალდა, რომა ნამდვილად ზაგესის ტოლბა გეგონებოდათ. მერე კი მთვრალი ინდაურით წაილულულა: ტოროპიტ სპისლა ნიეტ, ვპერედი მოზრძანდა, რომა, როგორც პარახოდი ისე ექანებოდა აქეთ-იქით... ეპეი, მისდგა და მისდგა ი ხალხსა, ჯერა ყულიერი გამოლანძდა, მერე რეგისტრატორი, სეკლექტორი, დელაეოდი, ჩეთაეოდი, ბულალტერი. მაგრამ შევიდა თუ არა თავის კაბინეტშია, იქვე ახლოს თავის მაშინისტყას მოჰკრა თვალი და რაზემეცა გუნებაც და ნასტრაენიაც მაშინვე შესცვალა.

აი, თქვენი ჭირიმი, ამისთანები კიდევ ბევრი გეყავს ი ჩვენ ვეჩრეულენიაშია... სხედან ი ბაბუშკას გვრიტები და აბრკოლებენ ჩვენ პიატილექტასა, მაგრამ მუშის მარჯვენასა ეერავინ დააბრკოლებს. რას არ შეგვიქმნის იმ მუშის მარჯვენა. ეს ვოლხეოსტროი, დნეპროსტროი, შატურის, ზაგესი, რიონგესი, აბეესი და პიატილექტის მოალატეებს შიგ ცხვირში დიდი სადგისო.

პია ვასო.

ჯ უ მ ა თ ი

გმადლობ, ბუნებაე, რომ ხშირად მზეა, და ეს ზამთარი არა გავს ძველსა. თორემ აქ გავლა ვის შეუძლია, ვის ნახავ გზებზე მშრალად გამწვლელსა! აქ ბაზრის გასწვრივ ღელავს ტალახი, პალიასტომის მოგავს ნაპირებს, სადგურთან კაცი ვერ მივა ახლოს, — (ნეტავ გიორგი რაღას აპირებს?!)

გივის, რწმუნებულს ლანჩხუთის ბანკის, (ვამზობ—რომელიც ყიდულობს კუნძებს) მას ეაქრობაში არა აქვს მანკი, მაგრამ ჩვენს გზებს-კი მეტად აფუქებს. ეეება ხეებს აგორებს, ათრეეს, შუა ბაზარში და სტოვეებს გზაზე. ვინაც დაიმტვრეს, არავის ხათრებს, ურმით თუ ცხენით, არა სწუხს მაზე. და ეს ბაზარი ასე დაიპყრო ტალახით, უნძით მსხალის და ნიგვისი, — ამას რომ სჩადის, თუ ფიქრობს ამ დროს ის შეკეთებას ნეტავი ამ გზის?

აღმასკომს ჩემად ესურს ვეთხრა ყურში მე საიდუმლო ერთი ამბავი, (და თუ გამოგეს, როგორც წარსულში, მაშინ ამ თქმასაც წაიღებს ზევი): აქ აგორებენ კამათელს ხშირად, ზოგიერთ დუქნის ოთახში უკან. და უნდა დასცეთ ისე თავზარი, არ განმეორდეს იგი მას ოპან.

ჩახუნდარიძე.



ჩვენნი ბრიბადა

კოლექტივიზაციის ფრონტიდან

ჩამდენიმე დღეა გარე კახეთის კოლექტივიზაციის რაიონში იარე.

მუხროვანიდან ხაშისკენ შარა გზით მივდიოდით. უცბათ ვილაქამ კინაღამ გამკვლიტა. გავიხედე და, ორი კაცი გარბოდა. უკან უშველებელი „დესტი“ ავიკრათ/ წარწერა ძლივს გავარჩიე: კულაკები ჩოლოყაყელი და-დიანნი.

თურმე გლებებს გაუფრენიათ სოფელ ხაშისთან.

— გაადაბამდის გზა გქონიათ-თუო—მიგაუფრე მეც.

სოფ. ხაშში, ჩვენ გრივად რუბორი გაუკეთებია პირზე და ისე იტყობს მოსხენებას კოლექტივიზაცია შესახებ.

აქ კარგათ არის საქმე-თქვა, გავიფიქრე და...

გადავდივარ სოფ. ნინოწმინდაში—მკითხავ ქალს—ლიუსკა ამირხანოვას გაუშლია კარტი და უჩივებს გლესს ანდრია ყორღანაშვილს:

— დაჯალი შენი ჭრელა ხარი „ბეზვარა“, მისი სისხლი წაისვი ტყივან ფეხზე და მოაჩიბი.

ხაგარეჯოში მივდივარ. შენსვეთი ანდრიას-ტხოზე გადავდივარ. მას ლიუსკას

„ეგრადებიან“

— მაინც არ გეძღვევენ საშველს, მოდი კოლექტივი დავაარსოთ, — სიტყვის წაღვერის 16 კულაკმა და ბორჯომის აღმასკომში კულაკური განცხადება შეიტანეს მათთვის კოლექტივის დაარსების შესახებ.

აღმასკომმა ახელ-დახელა განმცხადებლებს და გამოიცნო ჩაკულაკებულის ხალხი.

— ამათ რომ კოლექტივი დავუარ-

ჩივით „ბერვარა“ დაუკლფეს, სისხლში ამოსერილა, მაგრამ ფეხი მაინც სტკივა.

პროსპექტზე ჩავიარე. ერთ ყოფილ სამიკიტროში მანქანების ხმაურობა მომესმა.

შევიქცური. ბიჭოს, საკვირველება. იბეჭდეაბ გახუთი „მუშა“ გარე-კახეთის მთლიან კოლექტივიზაციის რაიონში.

გავისტდე. უშანგი (გახუთ „მუშა“-ს კენტროს გამგე) აქ ყოფილა.

მაგრამ არ მომეწონა მისი ნახევა, ფერი წასვლოდა და ყოველ წუთში თითო შიკარქეს ყლაავდა.

— რა ხყო, რა მოხდა?

— არაფერი, ზენზინი გეჭონდა საბეჭდ ასოებს გასაუფენდათ. უშანგის წყალი მგონებია და გადაუკრავს.—მითხრეს სიცილით.

— თომამ მიჭო საგარეჯოს წყალი, რა ვიცოდი თუ ზენზინი იყო ამ ზოთლში!— ამბობს უშანგი და თან რქეს ყლაპებს.

— უშანგი ფერს ახლოს არ გაეკარო, თორემ აფეთქდები—ახელებს მას თომამ.

გადავწყვიტე აქ დარჩენა.

სანამ საგარეჯოს თემსაბჭოს თავმჯდომარე ვანო გელაშვილს არ განვაბიუროკრატებ და არ მოვიარეულვებ, მინაძდე აქ ვიქნები

სინდლოვალა.

სოციალიზმს

სო, ეს ხომ კულაკური კოლექტივი იქნება,—სიტყვა მან.

არა, ჩვენ შევიზრდებით სოციალიზმს... კითხვით მემარჯვენებს... ახოჩქოლდენ კულაკები, მაგრამ არ გაუფიდათ.

იტორეთ მემარჯვენებო! „საწყალ“ კულაკებს არ ანებებენ „სოციალიზმში“ შეხრდას“.

შეზრდილი.

ტაბიკი.



მოსალოდნელია გავი-ხვა

ბოლდადში და სხვა მის ახლო მდებარე რაიონში მოსალოდნელია ხაოკამეჩის და ციენების გაფიცვა.

გაფიცვის მიზეზათ ასახელებენ ორ გარემოებას: ერთი რომ მუშა-საქონელს სწყყინს, მას რომ გვერდს უხვევენ და ტრაქტორებს დააქენებენ, ხოლო მეორე მხრივ, მუშა-საქონლი-



სათვის საყვები არ არის მომარაგებუ-ლი.

როგორც ადგილობრივ ამბობენ, ეს უკანასკნელი მიზეზი უმთავრესი უნდა იყოს.

დედის ვერილი

სოფ. ნიკორწმინდა (რაკა)

შვილო იასონ! მივიღე შენი წერილი.

შვილო, რო, იწერები, გენაცვალოს შენი დედა, რო ი ნოჭარი გიორგი ნებუნიშვილი გაისტუმრო, რითა უნდა გავისტუმრო, შვილო, როცა იმ ხუთ თუმანში კიარ შიილო შენი გამოგზავნილი ასი მანეთი. მაინც და მაინც ხუთმეტო თუმანი მიინდაო. მე კო, შვილო, ქვე საიდან გავისტუმრებდი, როცა ერთი ფურგახეირტილი კაპიჯიანი არ მიგდია ჯიბეში. აღმასკომის მდივან ივლიანესაც ბევრი ვეხვეწე, რო მიგლებინებინა ი ასი მანეთი, შარა ყურციც არ გააპარტყუნა. აჭიო და მღვდელათ

რო ვიყავიო, მეც აგრე ვშეგბოდიო, მაგრამ სხვა კი ვერავინ მიშლიდაო.

ჰო, და ისე შვილო, ქვე როდი მიიღო ხუთმეტზე ნაკლები. იმას პალეშაც ქვე გეტყოდა, თუ როგორ გამლანძაო. რა ვიცი, შვილო, იასონ, ამგენისგან მე ვერაფერი გავიგე, ე პარტიულეობი სოლ იმას იძახიან, რომ კულაკობა და მეფახშეობა უნდა მოისპოსო და ი ჩვენი ნოჭარი კი როცა პარტიული გახსა, მაშინ დეიწყო მეფახშეობა და მაინც არასფერს ეუბნებიათ.


სხვა, შვილო, ი როლაც მოწმობას რომ შწერილი გამომიგზავნეო, თავმანდაო კიე მიძღვოდა, მკრა მდივანმა არ დაუკერა (მე ვერ გავიგე,

შვილო, თუ რომელია თავმჯდომარე). მე კო, როგორც ნიკოლოზის დროს დიაკონი ვიყავ, შენშეეკების დროს მღვდლათ დამაწინაფურესო (დაწინაფრება მაშინაც ქვე ყოფილა) და ბოლშევიკების დროს მდივანი ვარო; მე უკეთ ვიცი შენზეო. ესლა რა გვაკლია, საქმის გაჭინაფურებას უნდა ვებრძოლოთო, და გაზაფხულზე მოდიო, მანსშოო.

ახლა, შვილო, წერილი მალმალე გამოგზავნე, მაგრამ სანდო კაცს გამოატანე, თვარა ფოშტით რო გამოგზავნო, ფოშტის გამეგ ნიკალა ქვე ხსნის წერილებს და... ახლა მშვიდობით, შვილო იასონ.

გწერს შენი დედა ილიო.

გ ა ზ ა რ ზ ე კ ა ხ ე თ უ ი



— რაო! გირვანჯა ერბო ათი შაური?! აკი ამ რამდენიმე დღის წინედ გირვანჯა ერბოს სამ მანეთად ჰყიდლი? კულბაქი:— მაშინ არც კოლექტივები იყო... ეხლა სხვა დროა...

უ კ ვ ი რ ს ტ რ მ ს ტ ს

ქიათურის მარგანეცის ტრესტს უკვირს, რომ ამ ბოლო დროს შრომის ნაყოფიერება აგრე რიგათ ვერ მიდის წინ.

ეს უკვირს, მაგრამ ის კი არ უკვირს, რომ ზოგიერთ მაღაროში, სადაც 100 კაცის ადგილია, ხშირად 200 კაცი მუშაობს და ისინი ერთმანეთს ხილს უშლიან, მიხმარების ნაცვლად.

ტრესტს ისიც უკვირს, რომ ხშირია სამუშაოზე გვიან მისვლის შემთხვევა.

ეს უკვირს, მაგრამ ის სრულებით არ აკვირებს, რომ მუშებს ქიათურაში ბინა არ აქვთ, იძულებული არიან ახლხო - მახლო (და ხშირად ძალიან შორსაც) სოფლებში იცხოვრონ და სამუშაოზე მოსვლამდე 6-8 და 10 კილომეტრი გაიარონ.

ტრესტს არც ის მიაჩნია ნორმალურად, რომ მუშები გარე სამუშაოებზე ხეირიანად ვერ მუშაობენ და, რომ მათი შრომა არც ისე ნაყოფიერია.

ეს მართალია, მაგრამ ტრესტს ის

რატომ მიაჩნია საღ მოვლენათ, რომ იმავე გარე სამუშაოებზე მუშები უსპეცტანსაცმელთ — უჩექქოთ, უხელთათმანოდ და უწამოსასხამოდ მუშაობენ?

ტრესტს უკვირს, რომ მუშები სჩივიან ანტისანიტარულ მდგომარეობაზე.

ეს მართალია, მაგრამ არც ისაა ტყიული, რომ ქიათურის აბანოების ნახევარი არ მუშაობს, ხოლო მომქმედ აბანოებში წყალი ისევე ცხელია, როგორც თუნდაც მდინარე ყვირილაში.

უკვირს ტრესტს, რომ ქიათურაში მუშეთაობის სავაჭრო წერტილების წინ გაუთავებელი რიგებია და მუშები სამუშაოს ცდებიან ამ რიგების გამო.

ის რატომ აღარ უკვირს ტრესტს, რომ 9.000 მუშისთვის მხოლოდ რამდენიმე კოვპ. სავაჭროა გახსნილი უკვირს ტრესტს...

შეიძლება ტრესტის მუშაკებმა და ისიც უსურსათ - სანოვგოთ?

სთქვან, რომ არც ერთი ზემოხსენებული მოვლენა მათ არ უკვირთ, თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ თითონ გვიკვირს!


ჩვენ გვიკვირს, რატომ არ მოხერხდა საქმის ისე მოგვარება, რომ შრომი ს ნაყოფიერება შეუჩერებლათ წავიდეს წინ, თვითლირებულუბა შიშირდეს, შრომის დაცვის საკითხები მოწესრიგდეს და საერთოდ გატარდეს რაციონალიზაცია?

ეს საკითხები აბარია ტრესტს და მის მუშაკებს, სხვა ხომ არაფერი? რაც შეეხება საკითხებს საერთაშორისო რეგულიაციის შესახებ, ამაზე ზრუნავენ სათანადო დაწესებულებები, ხოლო ჩვენმა ტრესტმა იმდენი უნდა მოახერხოს, რომ ქიათურის სამრეწველო რაიონი სრულიად გააჯანსაღოს.

უკვირს და უკვირს ტრესტს... თუ არ უკვირს, ჩვენ გვიკვირს. გვიკვირს სწორედ, რომ არ არის საქმოდ გამოაინებული ქიათურის მუშათა შრომითი ენტლუხაზმი.

მელითონე.

გამგის კარების წინ



— საქვეყნოდ უნდა გავაცხადო, რომ ჩვენი გამგე უხეშია, მავნებელი და ბიუროკრატი.

— სსსუუუ!.. გამგე მოღისი გამგე!..

ღლონტის ცხენის საიდუმლოება

ოზურგეთში ჩავედი.

— ორი ქოთანი გავტეხე ეი, ეი— ასეთი ღიღინით შემომხვდა ცხენზე მჯდომი მგზავრი. მივესალმე. სატყუო მუშკომისკენ გზა გამოვიკითხე.

— ალბად, აკაკი ჯინჭარაძეს ეძებთ ამხანაგო,— ხელად მომიგო.

— რად გინდა მისი ნახვა. ცხენი, რომელიც შენ ასე მოგიწონა, გამბობს თვალებით. დიდი მესაიდუმლე ცხენია. ცუდი რომ იყოს ტარასი ღლონტი სახლში არც კი გააჩერებდა. ჯინჭარაძე, ამხანაგო, მუშკომის თავმჯდომარეა. ამ ცხენმა მას 250 მანეთი გააიმაჟინებია.

— როგორ?

— ჰმ, კაცს თუ კომბინატორობის ნიჭი აქვს, ცხენს კი არა ძალღსაც კი გამეიყენებს. ჯინჭარაძეს შემოაკლდა ფული. როგორ ცუდათაა ჩვენი ქვეყანა მოწყობილი, კაცს

ფული გინდოდეს, არ ჰქონდეს და დაზღვევ სალაროში კი ჩერვონცები „ღესტობით“ ეწყოს? ის რა კაცია, ვინც ვერ გამოასწორებს ამ „უკანონობას“. აბა რის თავმჯდომარე ვარ, ამას თუ არ მივხედვ— მოიფიქრა ჯინჭარაძემ. გაახსენდა თავის რამდენიმე ხნის მკვდარი ცხენი. გაახსენდა ისიც, რომ მას ის დაზღვეული არ ყავდა. ეცა ტარასი ღლონტის ცხენს. დაზღვევა თავის სახელზე გავიდა ხანი და დაზღვევ სალაროში წარადგინა ცნობა, რომ მას „დაზღვეული“ ცხენი მოუკვდა.

— მერე?

მერე და ამხანაგო, ჩვენმა ჯინჭარაძემ 250 მანეთი გამოიტანა დაზღვევ სალაროდან. ტარასი ღლონტის ცხენს თვალბში აკოცა და ფულები ჯიბეში ჩაიდვა. ასე გამოასწორა მან „უკანონობა“.

ტყეს როგორ იცავს?

— გაამბობთ. სატყუოს სახელზე გამოიტანა მასალა და აიშენა სასიმილი. სატყუო მასალას გამოყოფა თავისთვის ასი ნაჭერი მასალა. გაუგეს და ჩამოართვეს.

მიბასუსი მგზავრმა „სინათლის სარკემ“.

— ნუ თუ, ეს მართალია?

— მართალი რომ არ იყოს, ენა კი არ მექავეება ამხანაგო, მე გთხოვ ტარატაროზს გადასცე ჩემი ეს ნაამბობი, რომ ჯინჭარაძეს კინკრით აუწყვას გავა და გამოუცვალოს ჰავა, თორემ მუშკომის საქმე ცუდათ წავა— მთხოვა მან. მეც ასე მოვიქცეო, რომ არ მომხდარიყო მუშკომში „პანია“.

დედანთან სწორია:

ივანია.



ჩვენი მსუბუქი კავალერიის თავდასხმა მუშათა კომპარატივივზე

იერიშები გრძელდება. — გაგრძელება შემდეგ ნომერში



კითხვა

ამ სურათზე დახატულია მუსკოვის აპარატში მომუშავე ბიუროკრატ მანეშელი „სანეცი“ და ის გვერდით მისივე პატარა ვაჟიშვილი. რა განსხვავებაა მამის და შვილს შორის?

პასუხი

განსხვავება? მია... დიდი განსხვავებაა. აქ დახატული ბავშვი ჯერ კიდევ ლალი და უზრუნველია. მის ჩვილ სახეზე ჯერ კიდევ უმანკოება და სიფაქიზე არის აღბეჭდილი. მისი სინდისი წმინდაა. უკვე ორი წელიწადია, რაც იგი ქვეყანას მოვივლინა და ჯერ კიდევ არც ერთი კაპიკი მიხავლეთი აღიურები ანუ „კამანდაროვონი“ არ აქვს მიღებული. მას ჯერ არც ერთი ყალბი თამასუჩი არ შეუდგენია, არც ერთ სალაროდან არ ქონია შეიხივია ფულის „ფიცოცების“. მან ჯერ კიდევ არ იცის თუ რას ქვია პროტექცია, რა არის პირველ მოთხოვნების ხაგნები, რას ქვია დეფიციტისანი ხაქონელი, რო-


გორ შეიძლება მისი გადამალვა და მისით საკუთარ თავის და ნაცნობ-მეგობრებ-ნათესავ-მოკეთების მომარგება.

— განსხვავება?


— განსხვავებაც იგივეა: წამოიზრდება თუ არა, თუ კი დრო იქნება, მოეწყობა თავის „პაპასას“ დახმარებით სადმე რომელიმე ხაქოთა-ხაქურნეო დაწესებულებაში, გაბედავს შტაბს, გაეარცვავს ს. ს. ს. მოვივლინებს სხვადასხვა მივლინებს, შეადგენს ყალბ თამასუჩებს, მოიგონებს სხვადასხვა მივლინებს, გააცოცებს ფულებს სალაროდან, აქეიფებს „ტურფა ქმნილებებს“, ანუ „ბანოვანებს“, მოაწყობ-მოაკვარაქინებს თფილ ადგილებზე თავისიანებს და მოამარაგებს თავის მამიდებს, დეოდებს, ცოლიდებს, ცოლიმებს, ქვითებს, ბიძებს, ნათოიებს, ნათლულებს და ერთი სიტყვით ყველა თავის ნაცნობ-მეგობარ-მკეთებს. პირდაპირ მამის „კოპიოა“, შენ ნუ მომიკვდები!



აქ ბევრია ხაქონელი პირველ მოთხოვნის, მაგრამ არა მუშათათვის-„მშვენიერი ქმნილების“, დუბი, კოტიკ-ლორიგანო, პუდრი, „ადეკალონი“, ვიტრინას, რომ გადამხდელ გეგონება სალონი.



სამარეულოს ზოგიერთს თუნდ კალმით ასწერ განაო? შიგ კია-ღუა ნავარდობს, მსუქანი ტარაკანო. საქმელში ყრია „დესერტაო“ ხარა-ხურები რაც არი: ლურსმანი, შუბის ნაქერი, ფიჩი, ბეწვი და ბაწარი.



ეს ნოქარი რა გგონიათ? კი არ არის ლარარი მუსკოპიდან ფართალს ჩუშად მოცოცებს ვაქარი. როცა კითხავთ—გიახსუბეთ: „აღარ დარჩა ფართალი“, რომ არ დარჩა ჩვენც ვუყურებთ:— პახსხია მართალი.



ეს ნოქაიო გართულია, ბანოვანებს უთვალთვალეტს და მობხანენ ნერონივით უბოიანებს მუშტარს თვალეტს. ხან ბრიალსაც არ გაქმარებს, წამოუვლის ბრაზი, ხედა— გამარჯობა შენ რომ უთხრა, გიპახსუბეტ: „შენი დედა“!



აშენდეს ჩენი მუსკოპის, დაბლი, კარი და დარაბა ზოგ სურსათს იძენ ადვილად, არ უნდა დავიღარაბა. მხოლოდ ერთს ვიტყვი ხაყედურს, აბა რახა ჰგავს მამია? ქალაღი მომცეს გირვანქა, ყველი შიგ იცი გრამია.

საბჭოთაო

პაროდები

პოეტის ყეფა

გ. ლეონიძე.
შიშნაღური სიმღერები

მოზღოვში ვნახე მთვარე
ყიჩაღურ ცხენის ნალით,
ლეჩხებდა დავიღვარე,
ვით მორცხვი პატარძალი
რომ გამოეცურე თერგი
ქერა შალიბის ხლებით,
საიათნოვას ქერქი
შშვენიოდა ხელუხლებით.
დონის ქალების რხევა
შგავდა ოპერის ბალეტს,
იქებები გარს მეხვევა
თუმცა არ ვგავარ ჰამლეტს.

—:—
აღ. აბაშელი.

პაპანემს ყავდა შვილი
ის იყო ჩემი მამა,
თუმც იყო ღვთის მორჩილი,
მან პური იერ მთსქამა.
პაპა სტიროთა კრემლით,
ქრთამს პირდებოდა ღმერთსა,
თუ გაღორჩინდა იმას,
ძეს, პირშოს, ერთად-ერთსა.
მოუყვდა პაპას შვილი
მოუყვდა... ოი წვირო,
დაკლა ორმოცზე, წყვილი
ცხაარი და წოის მოხვერი.
დულელში იწვევდა ყველას,
ფიცხობდა როგორც ლომი.
და გაუმართა ღმერთებს
მოულოდნელი ომი.

სეზმან ერთაწმინდელი.

პარად ალლი

ენის ბასატბნი

სმენაა!

მოვდივარ სეზმანი!

შენ, ეი! თამადავ, ამაყო ერთაწმინდელი! —
უამაყესო სეზმან, ურჩი, გიწვევ, ო, ხმალში..
აგერ, არენად მდებარე, მოსჩანს წინ მდელი, —
მარა... ჰა? რაო? საეკვოა სვლა შებმად, ჰმ, ალში?!
ნუ თუ, ასეა, გეშინია შენივე, ვხედავ... —
სადაა ქენება შენი, ანცი ქართული?!
— ხა! ხა! ხა!.. ო, ეშაფოტი?... ურბი, ვერ ბედავ? —
იყავ მსოფლიოში ზე ამართული.
მე კი, მეგონა... შენს თვალუბში ვენება ალესილა? —
მიქარვა საუკუნეთა შენება ყალბად!
ოპ ვიგრძენ, ელაშ სარკეში, გამაწან სილა?..
გზაჯრავედინზე შეეხვებებით ჩვენ, კიდე, ალბად.
ლედანთან სწორაა.

კ. ნადირაძე.
ოპროს დღეები.

ოქროს დღეები გაჭრა
ვატარებ რკინის აბჯარს,
წლებმა გულს ბრწყალი გამკრა
თუმცა არ ვგავარ ლაჩარს.
ველარ მოგახებ თემა
თუმცა მალეღვებს რკინა,
ასე დამსაჯა ბედმა
სიბერემ გამოზბინა.
ტყემლის ყუვილებს ვარხვე
მიგტირი ოქროს დღეებს,
გულს ცუხლის ალში ვახვევ
ვეტრფი ქოთორა ტყეებს.

—:—

პ. სამსონიძე. მოხკოვი.
უშირე დამიგდით ბიჭებო!

მე კი გველივით
ლექს წელს მოუთრევე,
თუ ვერ გიამბნთ, ეს მოთხრობა,
როგორც წესია,
სმენა!
საჯაროთ!
უპირველესად გაგიგიათ
არის ქალაქი
დიდი, მცირე,
ფართო, ვიწრო,
ამას ალბად,
ყველა მისვდება,
რადგან. მზის სხივების
ქარავენა
ვეტირგვინება.

ო, რა რიგად მტკივა
მე საბრალოს ყეფა.
სადაც ჭურში ვზივარ
და განვაგრძობ ყეფას.
დილა მოდის, დილა,
და დამდება დამე:
ვორუ-დილა-დილა...
ტურფავ, ტრფობა მამე;
ო, რა რიგად მინდა
ფავდე მალალ მგოსანს;
ვვალი დაიბინდა,
მოდის სევედა ქოსა,
ლიქსიხ ვაახობ ისე,
ვით ბებია მკადებს.
რა კარგია მუისვე
ჩემს ლიქს ხაღის სქამდეს?
ო, რა რიგად მინდა
დიდი კაცი გავხდე;
გვირგვინი დავიღვა,
და ღრუბლიბში ავხტე.
ტვინი ისე მტკივა,
და ცხელი მაქვს ყეფა,
რა კარგია სოფლად
ღამით ძაღლის ყეფა.

გიკოსბა.


ასოთ-აგნუომის რივილი

მუდამ ვამბობდი და ეხლაც ვიტყვი,
და კვლავაც ვიტყვი—პირში ვარ მთხორობი,
ზოგი ავტორი არის გულცივი,
არ ებრალებს ასოთ-ამწყობი.
აბა რა არის ერთი მითხარი
ბატის ნავდს შვავს მათი ნაწერი,
ვერას გაარჩევ პწკარიდან-პწკარით,
არეულოა სულ ყველაფერი.
თავის ადგილას მძიმე არ არის,
წერტილს ნუ იტყვი, არ არის სულა,
აბა აზვაციის თქმაც კი არა ღირს,
პწკარები პწკარზე გადახლართულა.
მათ არ სცოდნიათ, როგორც მე ვატყობ,
რა წესი არის სტამბაში ეხლა,
(სოც.-შეჯიბრებით ჩქარა რომ ვაწუობთ,
გასწორების დროს მოგვივა შეხლა).
ზოგი ასრულებს სიტყვებს „ღონ“-ებით,
და ზოგიც კიდე ათაფებს „თან“-ზე,
კორექტორი კი თავისი ნებით
ორიგინალებს გადასდებს განზე.
აქ მებრანაპაყიც ცხარობს ხმამაღლა,
უნდა გვერდები რომ შეკრას ჩქარა,
რადგან მანქანა უცდის მას დაბლა
და მემანქანე ძველი ჭალარა.
დავებრდი კაცი სტამბაში შრომით
ახოს ახოზე რომ ვაწუობ მწკრივად.
კიდეც კი ხანს ვიშრომებ შგონი
თუ თქვენ ნაშრომებს დასწერთ მარტივად.
შინაშრი

ახალგაზრდა მხატვართა გვერდი

რიონის რაიონის

ნახ. ლომიძის, ქუთაისი



— უბედურად დადიანო, მუშა ჯიშში...
— აღმინისტრატორი: — რას ამბობს ის ხომ მუშაობს?!

ქოქავიანთა


ნახ. მამაცანოვის.



— უბედულად ქალი უნდა ვიყოთ, რომ ყურადღება მოგვამოცინონ?!
— რას იზამს ჩვენც ასეთ მუშაობაში წავიდეთ, სადაც ნორმები ქალები არიან.

მზის საათი


ნახ. აბუნიანიძის, მატ.-ჯიხაში



— ნეტავი ეს ჩვენი მასწავლებელი რას მიჩერებია მზეს?
— საათი არა აქვს და სამაქალინო დროსმით ვებულობს.

საგანგებოდ

ნახ. შიმშილის, ტფილისი



სტუდენტი: — თუ ძმა ხარ, შენებურადკარგად გამოარსე! პარიკმახმარი: — სწორედ თქვენთვის მაქვს ხერხისებური მორშივე იღებს წვერს, რომ ისევ არ ამოვიღეს.


ორი „წმინდანი“

ნახ. დოლაბაძის, ფოთი.




მფინსკოპოვი: — ვის აბრალებს ქურდო ხას, შე ქურდო შენა?!
დუქანოვი: — გირჩევნია ვაჩუბდე, თორემ რაც ერთად გვიქურდია, ყოველივეს ვიტყვი.

ნახ. ი. კახიანიძის, ტფილისი.
სენაკის რაიონის სამკითხველოში



— ხადაც სიმღერა იხმის. აღბათ სეითოს სამიკიტნოშია.
— არა, აგერ არის რე. გზის სამკითხველოში.

ნახ. ლ. ასმატაშვილის, ტფილისი.
სიმკირა



— რაღაღადავად დადიანო?
— თრ მანეთად.
— ჩემს შეილს?
— იმასაც თრ მანეთად.
— ვა, როგორაა შენი საქმე! შე ამოდენა ცივი ვარ, თრ მანეთად მთლებ, — ჩემს შეილი კი ექვსი წლიხაც არ არის, და იმისი გადაღება თრ მანეთი? რკინის გზაზე საბავე-შო ბილეთი ნახეარა დიხს!

დათვალიერება

(სუსა)

რკ. გზის სადგურში მორიგეს ჩამოსძინებოდა. ისე ღრმად ეძინა, რომ ვერ გააღვიძა ტელეფონის რეკამ (ნატანები იძახოდა).

— მეგობარო, გაიღვიძე! — ზრდილობიანად ვუთხარი მას და ხელი მხარზე დავადე.


— ვინ არის შენი მეგობარი! მე ძველი გვარდიელი ვარ. ვაი დედასა! წახდა დრო, თვარა ახლა მე კაპიტანი და პოლკოვნიკი ვიქნებოდი მენშევიკების გვარდიაში!

— თქვენი გვარი?

— დაიკარგე აქედან! — და მეც აღარ გავძალეხულვარ, რადგან ისედაც გავიგე მისი ვინაობა: ვალიკო შლენტი.

აქედან ბაზარში გავედი.

დავინახე: ვიღაც ცოლი ტალახში იყო გაშლართული. როცა ახლოს ჩავუარე, ვიციანი ჩვენი არტუშ სარაჯევი კინო-მეჭანიკი. დამთვრალა და, ჩვეულებისამებრ, დასძინებია ქუჩაში.



მოსიყვარულე ცოლ-ქმარივით ეძინა ერთად მასა და ლორს.

განეგრძე გზა.

შევედი გლეხკომის საყასბოზე.

შევედი და გამიკვირდა — მოსამსახურებელ შიგ ყოფილი ვაჭრები ის. გოგუაძე და ბ. ბილიხოძე დავინახე.

(ეხლა კი მივხვდი, რატომ საყვედურობს გლეხობა გლეხკომის საყასბოზე).

აქედან პირდაპირ მუშკოვში შევედი.

— სალამი ვანო! — მივესალმე ნოქარს.

— უწევროდ არ შეიძლება! — მიპასუხა მოკლედ.

— როგორ, კაცო? სალამი უწევროდ არ შეიძლება?

პა, საწვერო წიგნაკი!

— ჰო, გაგიმარჯოს... სხვაზე ვფიქრობდი, წინედ რომ საკუთარი სავაჭრომ ქონდა და ხალხს ტყავს ვაძრობდი.

— აბა, თუ კაცი ხარ, სამი მეტრო აის ჩიოი მომეცი.

— ის ჩიოი კოლექტივისაა.. ვაჭირვეს საქმე ამ ყაზახებმა კოლექტივებმა თუ რაღაც ორნობა!

— მაშ ის მიტყალი ცოტა მაინც მომეციოთ.

— ის მე მჭირია!

— მეც მჭირია.

— ბევრ სალაპარაკოთ არა მცალია. თუ არ მოგწონვარ, წადი და მიჩილე! — დაცინვით მითხრა და ზურგი შემომამქცია.

— წავალ და მართლაც ვუჩივლებ გამგებოში! — გავიფიქრე გლმოსულმა; მაგრამ ამხანაგმა დამამშვიდა:

— თავი გაანებე, კაცო. ჩივილზე ყური შეჩვეული აქვთ. მაინც არაფერს ეუბნება არავინ.

სწორედ ამ ლაპარაკში ვიყავით, რომ მუშკოვის ღვინის სარდაფში დავინახე — გამგე მელიტონ (ყოფილი მიკიტანი, ვანოს ძმა) ღვინოში წყალს ურევდა და ღვინოთ ფიქრობდა: ამით ზედმეტ გასამრჯელოს მივიღებო.

აქ ვეღარ მოვითმინე და პირდაპირ „ეპოსკენ“ გავსწიე.

შევედი თუ არა ეპოში, მოლარედ დავინახე ყოფილი მღვდელი ქრისტეფორე.

— მთლად დამნაყსავს თუ ჩქარა არ წავედი! — გავიფიქრე და მაზინვე უკან გამომვბრუნდი.

„უკმეხი“.

მ რ ი ა მ ბ ა მ ი (მ უ თ ა ი ს ი)

აზნაპი პირველი

ქუთათურ გამფლანგველებს შორის პირველობა ერგო საბაზრო კომიტეტს. თუ უფრო დიდ ორგანიზაციებს წლობით ვერ მოუხერხებიათ თუნდაც ასეული მანეთების გაფლანგვა, საბაზრო კომიტეტმა სულ რაღაც 9 თვის განმავლობაში გაფლანგვის ნაყოფიერება ასწია 16.000 მანეთამდე.

უმადურმა მუშგლეხინმა ასეთი „დიდი მიღწევა“ ჩაუთვალა კომიტეტის შემადგენლობას ბოროტად და 7 კაცი მოხსნა საშახურიდან პასუხისგებაში მიცემით. საბაზრო კომიტეტის თავმჯდომარის სილოვან ლაჭყვიას „სწორი გამოკვლევით“ მას უნდა ჩაეთვალოს მხოლოდ დე-

ფექტით არა სწორი განაწილება გაფლანგული თანხისა თანამშრომლებს შორის: მაგ., თვითონ ლაჭყვიამ გაფლანგა 6.000 მანეთი, მის მოადგილე თავხელიძემ კი — 800 მანეთი, აწმუნებულმა მესხმა — 700 და ბუჰხალტერ მღებროვმა — 600 მანეთი. ასე მიღის სხვა დებალ თანამშრომლებზედაც.

იქნებ პროკურატურა მაინც ჩაერიოს მათ შინაურ საქმეში.

აზნაპი მორაბი

„საქარბამბას“ ჰყავდა რწმუნებულნი ახმედოვი, რომელმაც 1925 წელს „გაიმასქან“ 16.500 მანეთი.

„საქარბამბის“ სწორი მოსაზრებით, პროლეტარულ სასამართლოს არ უნდა მიესაჯა ახმედოვისათვის 10 წლის პატიპრობა სასტიკი იზო-

ლიაციით, ვინაიდან ახმედოვი სოციალური წარმოშობით არაპროლეტარი, არამედ ყოფილი მექარხნეა, და, რასაკვირველია, მას თავისი თვითური ჯამავირის 200 მანეთს ზევით უნდა გაეფლანგა 16.500 მანეთი.


იკავს რა „საქარბამბა“ თავის წინა მოსაზრებას, დღესაც ვერ ურიგდება ახმედოვის „უღანაშაულოდ დასჯას“ და რაღაც გამოურკვეველი სასწაულოთ ახმედოვი მიავლინა ყარაიასში ბაჰმის მიმღებათ.

ტარტაროზი ცნობილი მათემატიკია და უსათუოდ გამოიანგარიშებს: 1925 წლიდან დღემდე გავიდათუ არა 10 წელი.

ახმედოვის „პრინციპალური“ შეხედულებით, „საქარბამბას“ სწორი ხაზი აუღია.

ხლისტი.

გემრიელი ლუკმა



— საღ მიგაქვს, კაცო, ეს ძროხის ჩონჩხი?

— აგერ მიმაქვს ძაფ-საღებ ქარხნის სახადილოში... პორცი სხვაგან გავყიდე და ძვლები აქ მინდა გავასალო.

ეხსენის ქორწილი (ძირულისათვის)

ეხსენიმ ქორწილი გადხადა და აატყა ძმა-ბიჭები, პარტიული ბევრი ჰყავდა, თავმჯდომარე კიდევ სხვები. ციბრუტივით ტრიალებდა, მასპინძელი მზიარული, მაგიდაზე უხვად ჰქონდა შემწვარი და მოხრაცული. გაიმართა ჩვიფობა, სჭექეს მრავალ ეამიერი, ჩაის ჭიჭებს ყანწი მოყვა და შეიქნა სმა ძლიერი.

ბარბაქაძე ადგა და სთქვა: ძმებო, მამ საღ გავგონილა— ქორწილში თუ ტამბაჩების სროლა მაინც არყოფილა?! უყროშიძემ უპასუხა:

მართალს ამბობ და არ სცდები „კამპანიევ არ შეშინდეთ“, მოვხდინეს სროლის ცდები. შეზარბოშდენ, აქ სტუმრებმა პარტო ესეც არ იკმარეს, მდივნიშვილი სუფრის თავზე ვადმოხტა და დაუარა. მასპინძელმა ტაში დაკრა, წრე გაძალეთ და განიო, მთვრალია და პასუხს მოგვთხოვს ეს პარტიის მდივანო. შეხეთ ერთი, როგორ უვლის, დგება ფეხის ცერზიდაო, კარგათ შეენის გალიფე და, მაუზერი წვლზედაო.

ძირულები თაღა.

ვინ არის? ძარაღისათვის

ყოველდღიური დღეობით, ღიბით უღაუღებდა სახის ელფერი. აფრქვედა პანგებს ტბილი ღიღინით: „ჩვეთა ვართ ელა თქვენი მეფეხი“.

—
ოცდა ერთ წელში დაეცა ელდა... გამოიცვალა ტყავი გველმა და სოფელს კრებინთვის გამოსულს ელად თავს აჩვენებდა იგი ბელადაო. და იყო კითხვა მოულოდნელი: „იგი ვინ იყო? მისთვის რა ვიყო?“ გამოაქვინეს მლიჩენელი გველი წლობით აღსავსე ბატკნის ტყავიდან. ლოდინს გულის-თქმა ელად ყოფიდა ისწავლა თუმცა თოფის ხმარებაც,— ნაგრაჲ ცდა იყო უნაყოფო და ვით ცოცხალმკვდარა გაფართხალბდა.

—
დაიწყო შემდეგ პარტიულ კაცის ფარსეველმა სასიძოთ მენბა.— მაგრამ სასიძო კულაკურ განხით უჯრედმა სწრაფად გამოაძევა. შილიც მოადგა უცბად კარებზე სასწავლებლიდან პანლურ ნაკრავი. იზაენი იდგა იმს მხარეზე... აწოდ სედილობს რომ გაზღეს კრავი.

ქორილდი.

25 თებერვალს გავრვა

„ტარტაროზი“-ს სპეციალური ნომერი

საპარტოელთს გასაგებთეგაზე

ს ა რ ხ ე რ ე

საჩხერეში ვინ არ იცნობს მასწავლებელ ბრეგვაძეს, ერთხელ წელი მოუთრიეს მას გლეხების კრებაზე. ენუჭა მისი სახელი ცნობილი ინტრიგანია, ლოთი-მფოთი და მოკრივე, ხან კიდევ ენატანია. სიმულაბატი, ორგული საქმისა ამის ყოველის, ახალგაზრდობა იმისგან ნუ თუ სიკეთეს მოვიღის. გაღეშობის მოაგონებდა სადაც ლამაზი ქალია, თავის ვართობა სჭირია რადგან დღეს მაგარად დალია. ერთი ასეთი ოთხი მან მოახდინა სკოლაში, მასწავლებელ ქალს ვწვია კაცის ლოვინად წოლაში. უბრალოდ კარგისა მიხედვით ანა რას ქვია, ქუჭრუტანა... რომ შეძერეს, სურს ვით წარუწონა თავგია. მაგრამ ენუჭას ამოხატეს მაგარი-მაგარი პანდორო და საჭიროა ბრეგვაძეს, რომ აუწიონ კვლავ ყური.

პიკა.

„დ ი დ ი კ ა ც ი“

აღმასკომში

სულ მანქანაზე ტირილი, სულ ტრეფიკონზე ცილობა. რა ხათაბალა ყოფილა საეაქრო განყოფილება. ოთხი თვე არის, რომ გამგეს უშრება საწყალს სისხლია; მიგან პრეზიდენტს და მდივანს ოცი მიმართავთ მისილია: „გთხოვთ შეგვიკეთოთ ელსმენი, გთხოვთ მოგვეცეთ ერთი მანქანა, და ელექტრონის სინათლე, რომ ვიხეშაოთ აქანა“.

მაგრამ ვერ გასჭრა ვერც წერამ, ვერც კიბებზე სირბილობა, ტელეფონიც და მანქანაც შთანთქა რაღაცა სიკვდილმა.

ბოლოს გავიგეთ მიზეზი, საქმე სხვაგვარად ვეჭობია: თურმე გამწერალი ყოფილა დაბალი ტანის შონია.

რას იხამ—კომენდანტია, საწყობი იმის ხელშია, ამიტომ ვინც მას არ მოსწონს, სულ ყველას უჭირს ყელშია.

ოთხი თვე მანქანის ძებნა და ტელეფონზე ცილობა, რა ხათაბალა ყოფილა საეაქრო განყოფილება?!

სანჩა

ქ უ რ ა უ ი



— რას გაქრებულხარ იდეალური აქ?
— ვერა ხედე ვარჯე...? შირი გაქრადი.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(აბაღმზა, ბურია)

1. ერთად მსახურებს, ცოლი და ჰბარი, მდიდრულად მორთეს სახლი და კარბი; ორივეს უყვარს ბლომად ქანჭარი, დასაშვებია საქმე ამგვარი...
2. ერთმა გაყვიდა ღღღასა ხარი, ფასად აიღო ასი ქანჭარი, დაშლევმე სალაროს კი წარუდგინა, თითქოს დაემტკნა და ნახა მკედარი. გამოსაკნობად ძნელი არ არის მისი სახელი და მისი გვარა, რომ პასუხსაგებ ალაგზე იყოს, შესაფერია ან შესადარი? ქვიშხარედი.



აბას-აბასის ქუჩაზე სახლი ნოპერი შეიღია, კომენდანტია შონია საქმე ფებებზე ჰკილია. ტერ-გეორდინი შუღლია გაბეგობაში შალღამა, რადგან დაადნო მის ქალთან ახლო დგომამ და აღეამა. შაიისიღლია ეს შლეღლი მას ქეისლიც მხარას უმწვენებს, მმართველ სამეფულს სახლისას ნეტავ ვზას თუ ვინმე უჩვენებს? თანი.

სინამდვილე ერთ სა-კბილოთ

(შიათურა)

მუშკოპის გამგე: — გამარჯობა აბს. პეტრე, რატომ დამივიწყე, შე კაცო? ერთხელ ჩვენსკენაც შემოიარე. აბს. პეტრე, მართლა, როგორც ვიცი, შენ გაზეთებში სწერ.

პეტრე: —ჰო, ხანდახან... რაშია საქმე?

მუშკ. გამგე: — ეჰ, ბიჭო, თუ ძმა ხარ დასწერე, რაზე ჩემზედ შენ გენაცვალე.

პეტრე: — უკაცრავათ, აბს. სიბიტო, მე მოსყიდული მუშკოპი არ გახლავარო.

მუშკ. გამგე: — რას ჯავრობ, შე კაცო, ვამიგონე: მე ხომ ქებას არ გთხოვთ; პირიქით, — მაგინე, მლანღლე რაც შეიძლება ბევიო. მასალებს ჩემს შესახებ მე თითონ მოგაწვდი... ანა ყური დამიგდე, აი, მაგალითად, ყოველ კვირაში სამი დღე „კამანდიროვკაში“ ვარ და კაპიტოს საქმე არ ვამიკეთებია. კერძო ვაჭრებს ვაძლევ მუშკოპიდან საქონელს. ზიდაშვილი მივიღე მოლარეთ გუშინწინ... ამაზე მეტი მასალა რაღა გინდა, შე კაი კაცო?!

პეტრე: — მეტრე და შენი თავის წინააღმდეგ ისევ შენ ილაშქრებ?! მაგ საქმისათვის შეიძლება ქეც დატუსალონ.

მუშკ. გამგე: — რას სულელობ, ბიჭო, მე პრაქტიკიდან გეუბნები, თვარა რაეა, მე ჩემი თავის მტერი ვარ თუ? პირველათ: ბიბლიოთეკის გამგე ვიყავი. გამსწერეს გაზეთში — სამკითხველო მუდამ დაკეტილია... აიღეს და აღმასკომში მდინათ გადამიყვანეს; ვილაკამ გამსწერა — გლეხებს ცუდათ გაყრობაო, ქრთამებს იღებსო. აიღეს და მოლარეთ გადამიყვანეს. იქ ცოტა გავდინგვა მომივიდა. მუშკოპებს არც ეს გამოეპარა, გამჭიმეს გაზეთში. აიღეს და გაჯავრებულ გოლზე მუშკოპის გამგეთ გადამიყვანეს.

ეხლა, კაცო, მიშველე რამე. იწებ უფრო კარგ სამსახურში გადამიყვანონ. დამწერე გაზეთში, შენ გენაცვალოს სიბიტოს თავი!

პეტრე: — ჰჰჰ!

შაკო.


„სადარჯოზი“ ხოხი



— რა გინდა, კაცო, აქ? აქ ხომ სადარჯო არ არის?
 — რატომაც არა! ვუღაცაჯემა — ვგვა ვინემო საშიბოხოში
 დამაბიშოს.

გამოცანა (საჯემახოხათვის)

თემელესკომში მსახურობდა წოდებული თავმჯდომარედ, და მისული მასთან გლები, ...
 ...თა ბეოჯეო გაუთ.
 კაცი იყო მეტად ფლიდი, გულმეგარი, როგორც კაცი, პარტიიგებში გეიპარა, მიითვისა სხვისი სტაჟი. როცა საქმე გამოჩინა, შოიბგრა იმან ფენი, არ ღინდო და ვლახა, თორბეტადე სოფლის გლები. აღარავინ არ ზოგავდა; მოსდიოდა ხშირად ბრაზი; ავად ჰყავდა სახლში მამა — კუბოს მისცა მან „ხაკიხი“. აღვილამდე მიღწეა განალახავ გლებთა სიამ, და პასუხი ჯეროვანი ვასცა პარტუმენდ კომისიისა. „ტილა“.



პიულიშოს. შე კაი კაცო, ახალ-სენაკიდან ჩამოდი, გვინახულე და ამაზე უკეთესი ძღვენი ვერაფერი მოგვიტანე:

ვაი-უი, ვაი-უი
 ვახმა ხელი, ვახმა გული.
 არც მზურს კოცნა და არც ხევენა და არც რამე არშოუელი.

ალბად ძველი მასალეებიც ამ გი-შისა იყო და იმიტომ ვერ ნახეთ „ტარტაროზში“ დაბეჭდილი.

ტიბიას. ეს წერილი არ გამოვედგა.

პრიპს (ხუფხა). არც ისე ცუდად ყოფილა „უბო“-ში განაწილების საქმე დაყენებული, როგორც თქვენ გგონიათ:

შადეული თუ მოვიდა,
 ჯერ ნოჭრები ინაწილებს.
 შემდეგ მიაქვს გამგეობას
 და იშათა ბოძაშეულებს.

ალბად, აპიტომ, და სწორედ ამიტომ მოხდა, რომ:

და ერთმანეთს თმებში ეცნენ
 სოფლი და პელაგია.
 ერთს დაეხა ჩითის კაბა,
 და შეორბეს — პერანგია. (ეს კიდევ არაფერია, ხოლო თქვენ არ ხე-ვდით აქ რითმისათვის პერანგს).

შარ-ნის (პერევისა, კიათურა). საკვირველია თქვენი წერილი კომპარტიის ნოქარ წერილის შესახებ, რომ ის:

სახლისკენა ეზიდება

შაქარსა და ფართალს.
 წონაშიაც ბლომად აკლებს,
 მართალს ვანზობთ, მართალს.

ჰო-და, ეს თქვენი წერილი საკვირველი იმით არის, რომ — თქვენ ნაცვლად იმისა, რომ, როგორც აღვილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციის ხელმძღვანელთ უზრადლება ბიგეკქათ ამისათვის მანდვე სხვა შესაფერ ორგანიზებთან საკითხის დასმით, — თქვენ დამჯდახართ და ორ კაცს მთელი ღამის განმავლობაში გიწერიათ ლექსი, და ისიც ისეთი (უღი. მართალია, თქვენს ნოქარს უკეთესი ლექსი არ გყუთენის, მაგრამ რა დაგიშავა ჩვენმა ჟურნალმა, რომელსაც სთხოვთ თქვენი ნაწარმოების დაბეჭდვას. მეტი უნარი და გამბედაობა გმართებთ აღვილობრივ მომუშაოებს.

გრ. ნასინარს (ზონი). სწერეთ მოკლით და გარკვევით. მილიციის შესახებ იხილეთ კარიკატურა მე-15 გვერდზე.

ხმრეპიის (აქვე). მოურიდებლად რომ გითხრათ პასუხი, ის ასეთი იქნება: არ ვარცა ეს თქვენი მასალა.

„შარულს“ (ქუთაისი). მოდიოდა ეს ლექსიც ფარულად შევიანხოთ. ქუთაისის მუშკოოპზე ისედაც ბევრი იწერება.

წიშნ-მელს (ქუთაისის ძაფხალები ქარხანა). კონსკის შესახებ ასეთ ლექსს გვწერთ:

ვაიხხენონ მათ ავეისტო
 რიცხვით მგონი იცდა ხული,
 ზოგს ჩითს მერტხაც არ აძლევდენ,

ზოგს მიჰქონდათ ხული ფული.
 შე კაი კაცო, თუ თქვენი კიოსკი ჩითს ფუთობით პუილის, თქვენც ვეყიდათ მისგან ამ წერილისათვის ხახვეარი კოლ. მართლი და ერთი-მეათედი გრ. პილპილი.

სასადილოს შესახებ კი — სწერთ:

დღე და ღამე რომ უყურთ,
 არვინ მოიღის შენთან არა,
 თუ გაღირსებს — მოგფიანებს,
 კერში არის ტარკანა.

კიდევ კარგი რომ ტარკანა ყოფი-ლა, თქვენს წერილში ვერც ეს ამო-ვბინოთ.

ძორკორას (ს. გორა-ბერეჟოუ-ლი, ჩოხატაური). თქონს ცნობას ვათავსებთ რადიოში. თუ ეს ქორი ვამოვდა, იცოდეთ არ შეგარჩენთ მგ ქორის.

პაკშლას. რადგან, როგორც თქვენ იწერებით, ეს წერილი უკანასკნელია და აწ აღარ შეგეაწუხებთ, სამაყარიოთ ვბეჭდავთ ამ ამონაწერს:

აწ აღარ ვარ, ძმაო,
 მე დამწერი ლექსის;
 უანაში მივებმარები,
 მამარქმს აღლქის.

აი, ის კი კარგი საქმეა.
 არ მოგიატყულოთ, კიდევ არ გამოვეგზავნოთ.

ს 345
1930

საქართველოს
საბჭოთა
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
№ 16
Акад. И. Скрипникова
Академия наук

კულაკის თავდასხმა



ძროხა (ფირს):— უნ რაღა მოგარგანიებო? უნაც ხომ ვირ დაგკლავს!
— ის ოხერი ისე გაბოროტებულია, რომ არც მე დამინდობს, ჩემს ხორცსაც უმსჯამს.

რედაქ.: სარ. კოლეგია; გაზ. „მუშას“ გამოცემა; საქ. პ.-ტრ. 5-თე სტამბა; მთავლ. № 1319.